

01

ტფილის უნივერსიტეტის ჟოჲზე
Bulletin de l'Université de Tiflis

III

მ. ჯ. გიორგი ახვლედიანი.

INDA TIVUS PRAE DICTIVUS

ქმარ ენაჲი.

1921

ტფილისი.

1922.

DATIVUS PRAEDICATIVUS ოსურ ენაში.

გიორგი ახელედიანისა.

I.

1. ოსური ტექსტების შესწავლა¹ დამარწმუნა, რომ nominativus praedicativus-ისა და accusativus praedicativus-ის პარალელურად ოსურ ენაში საკმაოდ გავრცელებულია dativus praedicativus; მაგრამ ოსურის არც ერთს მკვლევარს არ აღუნიშნავს რგი, როგორც აქეთი. ზოგიერთი შემთხვევა dativ. praed. ხპარებისა მოყავს შტაკელბერგს თავის შრომაში (Beiträge zur Syntax des Ossetischen, Strassb. 1886, გვ. 17) dativus finalis-ის სახელწოდებით; მაშასადამე მას არ ქონდა შემჩნეული განსხვავება dativ. final-ისა და dativ. praedic-ის შორის. ნამდვილად კი მათ შორის საკმაოდ განსხვავებაა ჯერ ერთი ის, რომ dat. fin. განცალკევებული ბუნებაა, ხოლო dativ. praed. წარმოადგენს შემასმენლის ნაწილს.

¹) სახელდობრ:

ა. შიფან—*Осетинские тексты, собранные Дая. Чонкадзе и Вас Цораяевых. Издалъ академикъ Шифнеръ, СПб. 1868.*

ბ. მილლერ—*Осетинские этюды. Часть I (осетинские тексты). Всевол. Миллера, Москва 1881.*

გ. Miller-Stackelb.—*Füni ossetische Erzählungen in digorischem Dialekt. Herausgegeben von W. Miller und R von Stackelberg, St.-Petersburg 1891.*

დ. Дигорскія сказанія—*Дигорскія сказанія по записямъ дигорцевъ И. Т. Тукчаева, съ переводомъ и примечаніями Всевол. Миллера, Москва 1902.*

ე. იაღლეზიძე A.—*ლოცვანი, კატეხიზმისი და მოკლე ქრისტიანებრი ზნობითი სწავლა (თარგმნილი ქართულიდან ოსურად იოანე იაღლეზიძის მიერ) დაიბეჭდა ტფლისში 1820 წ.*

ვ. იაღლეზიძე B.—*აღბრთო მსახურება. დაიბეჭდა მოსკოვს 1821 წ.*

ზ. იაღლეზიძე C.—*დაიბეჭდა გამოკრებილი ესე კვრთხევანი ქართულსა და ოსურსა ენასა ზედა მოსკოვს... 1824 წ.*

წ. ფსალმ.—*წაუკლა ჩინგ ქანს ფსალმარი, С.П.Б. 1842.*

თ. ეპისტ. მოციქ.—*Соборныя посланія св. Іоанна Богослова и Іуды на осетинскомъ языкѣ. Перевелъ В. Цораяевъ, Тифлисъ 1862.*

ი. სულდაგ ვანკელაი—*სულდაგ ვანკელაი, Тифлисъ. 1864.*

მეორე ის, რომ პირველი ოსურ ენაში გამოიხატება ინტინიტივის (და ზოგჯერ ნაცვალსახელის) მიცემითი ბრუნვით (მაგ.: ბარჯგქანჲან ,,გამოსაცხადებლად“, ,,ცხუნან ,,წასასვლელად“, ხარჲან ,,საქმელად“; ის თაჲან ,,რისთვისმე“, ცჲანჲან ,,რისთვის“, უჲან ,,მისთვის“ და სხვა), ხოლო *dativ. praed.*, როგორც ნომინალური ნაწილი შემასმენლისა, გამოიხატვის უმეტესად არსებითი სახელით¹.

რაც შეეხება *dativ. praedic.*-ის მნიშვნელობას შინაარსის მხრივ, იგი ცოტად თუ ბევრად ენათესავება *dativ. finalis*-ს. ეს იყო ალბად იმის მიზეზი, რომ შტაკელბერგმა ყურადღება არ მიაქცია მათ შორის განსხვავებას. *dativ. praed.*-ის მნიშვნელობა გამოორკვევა მისი შედარებიდან *nominativ. praedic.* და *accusativ. praedic.*-თან. ამიტომ მოვიყვან აქვე მაგალითებს როგორც პირველისას, აგრეთვე მეორეებისასაც².

ბ. Dativus praedicativus ქვემდებარისა: უი ნა რონან ქუ ჯაიდ ,,ის რომ სარტყლად მოგვცა“ (სიტყვა-სიტყვით: ის ჩვენ სარტყლად რომ იყოს) [შიფნ. 41, 2].

შეად. ამას *nominat. praedic.*: ასნა ჭედგანჯე უდრ ,,ასანა შემავეწროებელი იყო“ (მილლერ 72, 22).

ბ. Dativus praedicativus დამატებისა: ვგრანთა სქოდთაი დხნგან ცაღხან (*qui*) *disponit nubes in vehiculum suum* (ფსალმ. CIII, 3).

შეად. ამას *accusativ. praedicat.*: მხდარ მავმხაიჯენ სქოდთა მან ჩვენ მის მონაწილედ გაგებლა“ (=გვექნა) [შიფნ. 55, 2].

ამ ნიმუშებიდან უკვე ჩანს *dativ. praedicat.*-ის სინტაქსური მნიშვნელობა. იგი უდრის ბალტურ-ხლავურის ე. წ. *instrumentalis praedi-*

¹) იალლუზიძის თარგმანებშიც *dat. praed.* გვხვდება მხოლოდ არსებითი სახელისაგან, ხოლო *dat. finalis* განსაკუთრებით ხშირია ინტინიტივისაგან: ბაღიჯანჲან ,,მილტოვლად“ (C. გ, 8), ბაჲგანან ,,დაცულად“ (იქვე), ბაჲუქსანჲან ,,სმენად“ (იქვე, ე, 9) თარხონ ქანჲან ,,განსჯად“ (იქვე იგ, 14), ნუგაჯანჲან ,,მისატყეებლად“ (იქვე იე, 4) და შრავალი სხვა.

²) *Dativus praedicativus* ტექნიკური ტერმინია იმ კონსტრუქციისა, რომელიც წარმოადგენს შედგენილ შემასმენელს და რომელშიც განსაზღვრულ ზნუნბთან *dativus* იხმარება *nominat.* და *accusativ.*-ის ნაცვლად. ნამდვილად გრამატიკული პრედიკატულობის სახელწოდება შეიფერება მხოლოდ *nominativ. praedic.*-ს, რადგანაც აქ *nominativus* მართლაც შეეთანხმება ქვემდებარის—ამიტომ იგი შემასმენლის გრამატიკულ ნაწილს წარმოადგენს. მიცემითის (*dat.*-ს) და ბრალდებითის (*accus.*-ს) ვეძახით პრედიკატულს, როცა ისინი ზნუნბთან ერთად ერთ მთლიან ცნებას გამოხატავენ. როცა *dativ. praedic.*-ი ნაცვლია *nominativ. praedic.*-ისა, მას ვეძახით ,,*dativ. praedic.*-ს ქვემდებარისას“; როცა იგივე ნაცვლია *accus. praedic.*-ისა, მაშინ კი *dativ. praedic.*-ს დამატებისას“.

cativus¹. საქმარისია ვიდაეთარგმნოთ მოყვანილი მავალითები dativ. praedic.ისა ერთერთ მათვანზე, მავ. რუსულ ენაზე, და მათი მსგავსება ცხადი ვახდლება:

ა. *Если бы то было нам поясом.*

ბ. *Делаеть облака своей (твоей) колесницею.*

აქ ორივე კონსტრუქცია Instr. praedic ს წარმოადგენს. მავრამ ამაზე უფრო საყურადღებო და დამახასიათებელია ოსური dativ. praedic ის ის შნიშვნელობა, რომლითაც ის განსხვავდება nominat. და accusat. praedic.საგან. სახელდობრ:

ქვემდებარის (ან დამატების) ნიშანი, რომელიც გამოხატულია შემდგენილ შემასმენელში nominat. (ან accusat.) praedic.ით, უმეტესად არსებითია, ასე თუ ისე აუცილებელი, მუდმივი, ობიექტური (მავ. ასანა ჭდგანაგ უდწ ,,ასანა შემავიწროებელი იყო“; მახდარ ჯა აშხაიჯწ სქოდთა „მან ჩვენც მის მონაწილედ ვავებადა“); ხოლო dativ. praedic.ით გამოხატული ნიშანი უმეტესად არაარსებითია, შემთხვევითი, წარმავალი, სუბიექტური ან კონვენციური (მავ. უა ნა რონან ჭუ ვად „ის რომ სარტყლად მოგვცა“; ავრადთა სქოდთაჲ დანჩგან ცღახან [(qu)l) disponit nubes in vehiculum suum]. ლოლიკის ტერმინოლოგიით პირველთათვის შემგვეძლო გვეწოდებია notae essentielles, მეორეთათვის notae accidentales.

2. მიუხედავად იმისა, რომ ოსური dat. praedic.ი სინტაქსურად უდრის ბალტურ-სლავურის instrument. praedicat.ს, პირველი უფრო ნაკლებდ არის გავრცელებული ოსურში, ვიდრე მეორე ხსენებულ ენებში.

ამის პირველი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ dat. praed.ი თითქმის არ იხმარება ზედსართავთაგან², ხოლო ბალტურ-სლავურში instrument praedicat.ი ზედსართავთაგან ხშირი მოვლენა³. სხვა საკითხია, თუ რატომ არ იხმარება dat. praedic.ი ზედსართავთაგან; მავრამ ამის ახსნაც შემდგენიარად შეიძლება:

¹) ამის შესახებ იხ., მავალითად, K. Brugmann und B. Delbrück, Grundriss der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen² B. II, 587. ასეთი კონსტრუქცია, რომელიც ავრეთვე არ ჩაითვლება ნამდვილ გრამატიკულ პრედიკატულად, გვხვდება სხვა ინდოევროპულ ენებშიც.

²) იმ მკითროდენ შემთხვევებში, სადაც თითქმის ამის საწინააღმდეგოს ვხვდავთ (იხ. ქვემოთ მავალითი № 8), გვაქვს გასუბსტანტივებული ზედსართავი ან მიძლეობა.

³) თუმცა მათვანაც მრავალი გასუბსტანტივებული ზედსართავია.

ჩვენ ვიცი, რომ *dat. praed.*-ის ფორმით გამოხატული ნიშანი არა-არსებითია, წარმავალია და სხვა, ხოლო ზედსართავით გამოხატული უკვე თავისთავად გამოხატავს ნიშანს, რომელიც განუყრელია საგნის ბუნებისაგან. იშკარაა, რომ არსებითი სახელი, რომელიც წარმოადგენს საგნის ნიშანთა კომპლექსს, უფრო გამოსადეგია *dativ. praedicat.*-სთვის, ვიდრე ზედსართავი, რომელიც თავისი ფორმით გამოხატეულია მხოლოდ ერთი ნიშნისა და ისიც მუდმივის¹. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როცა რუსულში, საიდანაც ან რომელზედაც თარგმნილია ოსური ტექსტების უმრავლესობა², ვხვდებით *instr. praedic.*-ს, ხშირად იმ ადგილას ოსურში არა გვაქვს *dat. praedic.*, თუ კონსტრუქციაში მონაწილეობს ზედსართავი, მაგ.:

ა. სთაი ჩი ბაზზად უმ ზადთაი აგას, უდინ სსჯესთ, სტაუმა „ანგელოზთაგან ვინც იქ უვნებლად გადაჩჩა, ისინი ღმერთთან წაივლენ“ (მილლერ 2ს, 3).

ბ. ამა ხაზუც აა ახინგან ხაზ გუჯ ბაქოდა „და ხამიკმა გაიხადა იგი თავის საყვარლი“ (მილლერ 40, 3. აგრეთვე 46, 3): მახინგან და ხაზ გუჯ ქუ ბაქანინ „(მინდა) ჩემს საყვარლიდ გაგხადო“. ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში ხაზ გუჯ გაგებულია როგორც ზედსართავი „გვერდში მწოლარის“ მნიშვნელობით³.

ბ. ამა სა ღუ სქანძნა ხისთარ აღ, ზახელ თხ ნოსთაშახ დახ კი ახაჟამი იბ ბეი ჰამიხ (ფსალმ. XLIV, 17). ხისთარ ზედსართავია და ნიშნავს „უფროსს“.

აქ მოყვანილ მაგალითებში გვაქვს არა *dat. praedic.*-ი, არამედ ჩვეულებრივი პრედიკატული ატრიბუტი⁴.

მეორე და უმთავრესი მიზეზი *dat. praedicat.*-ის ნაკლები გავრცელებულობისა ოსურში შემდეგია: ოსურის აბლატივი (რომელიც ინსტრუმენტალის ფუნქციიდან იხმარება), ხშირად ასრულებს იმ როლს, რომელსაც, მაგ. რუსულში, უკვე ხსენებული *instr. praedic.*-ი⁵, და, მაშასადამე, *dat. praed.*-ის მაგიერობასაც სწევს ოსურში, მაგ.:

¹) შვად. H. Paul, *Prinzipien der Sprachgeschichte*, Halle 1920, გვ. 358.

²) ოსურიდან: შიძნ., მილლერ და Дигорскія сказанія; რუსულიდან: ფსალმ., ეპისტ. მოციქ. და სრლადგ ევანგელიე.

³) Die Sprache der Osseten von W. Müller, გვ 66: *Grundriss der Iranschen Philologie*. Anhang zum ersten Band, Strassb. 1908.

⁴) H. Paul, *Op. cit.* 142.

⁵) იბ. Stackelberg, *Op. cit.* 27.

ბ. ჯად და სულჯაი მუ ტანქ ხოშია ბაზხადი ნიშინ მისი მუტლუქი ერთი ნაწლევი უმად (ე. ი. გამოუწვავი) დარხა“ (მილოერ 24, 23).
ბ. ჭასთაშა სართ ანკარდაი რაზდახოსთი, „ნართები შეწუხებულნი უკან დაბრუნდენ“ (იქვე 72, 3).

ბ. ჭაღა სისართი დორ, ინგანაი ყაღდახთაი „დი პოვეს ლოჯი იგი გარდაგორებული საფლავისა მისგან“ (სულღვ ევანგელიე, რუქა XXIV, 12).

დ. სმას ანუაღულსთოთა ფაძახხაი უნ სჯღაჟან „თქვენ ფიქრობდრთ, რომ ის მეფედ გეყოლებოდათ [შიან. 58, 1-2]“.

მ. ჭა ღარმა ანკარდაი ბად, „თავის კართან შეწუხებული იჯდა“ (=ზის) [შიან. 100, 4].

ამ მეორე მიზნს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ instrument. ამ როლში ძალიან გავრცელებულია ოსურში. მაგრამ ამისდა მიუხედავად, სრულიად ვერ მივიღებთ იმ აზრს, თითქოს ოსურში არსებობდეს Instrum. (=abl.) praedic., რომელიც თითქოს უღრის ასეთსავე ბალტურ-სლავურისას საერთოდ და რუსულისას კერძოდ, როგორც ეს შეიძლებოდა ეფიქრა კაცს შტაკელბერგის ხსენებული შრომის მიხედვით: ამის ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ასეთი Instrum. ჩხმარება ოსურში თითქმის მხოლოდ ზედსართავთაგან, რუსულში კი ზედსართავთაგანაც საკმაოდ ხშირია, რომელთაგან, მართალია, მრავალ შემთხვევაში გასუბსტიანტრეებული ზედსართავიცა გვაქვს, მაგრამ პრინციპიალურად — არსებით სახელთაგან.²

3. აქ იბადება შემდეგი საკითხი: თუ კი ოსურში არსებობს — და საკმაოდაც გავრცელებულია — ablativusი დაახლოებით იმავე ფუნქციით, როგორითაც dat. praed.-ი, რატომ მოხდა, რომ ბალტურ-სლავურის Instr. praedic.-ის მსგავსი მნიშვნელობა dativ. praedicatorius-მა მიიღო თავისთავ-

¹) ეს სამი მაგალითი მოყავს შტაკელბერგსაც (Op. cit. გვ. 28).

²) შტაკელბერგს რომ თანაბარი ღირებულების ევონა სლავური (მაგ. რუსული) Instr. praed.-ი და ოსური ablativusი შესაფერ შემთხვევებში, ეს ჩანს მის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან (გვ. 27.); სახელდობრ კი ეს ნათქვამი არა აქვს. როგორც იმავე შრომიდან ჩანს, შტაკელბერგს შეშინებული არ ქონდა Instr. praed.-ის არსებობა სლავურ ენებში, კერძოდ რუსულში, თორემ უთუოდ დაასახელებდა F. Miklosič-ისა და A. Потебня-ს შესაფერ შრომებს, სადაც ეს საკითხი საკმაოდ გარკვეული იყო, და თავისი შრომის ამ ადგილას „რუსული ინსტრ.-ის ნაცვლად იხმარდა „რუსულ instrument. praedic.“-ს.

ზე, და არა *ablativus*-მა, რომელიც იმავე ინსტრუმენტალის როლსაც ასრულებს საზოგადოდ¹. ამის ახსნა შესაძლებელია შემდეგნაირად:

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აბლატივის ხსენებული ფუნქციით ოსურში ვხვდებით თითქმის მხოლოდ ზედსართავთაგან²; თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ ოსური ნაბრუნვალი ზმნისართების დიდი უმრავლესობა სწორედ აბლატივისაგანაა ნაწარმოები³, ხოლო მათ შორის ძალიან ხშირად ზედსართავთაგან, მაშინ აღძრულ საკითხზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება. საქმე ის არის, რომ ზედსართავის აბლატივი, რომელიც, რა თქმა უნდა, არც დამოკიდებულია არსებითი სახელისაგან (ქვემდებარისა ან დამატებისაგან) და არც შეეთანხმება მას, მიეკუთვნება უფრო ზმნას (შემასმენელს)—მით უფრო, რომ იგი (აბლატივი) თავისი ფორმით უდრის ოსურში ზმნისართს და, როგორც ასეთი, აძლიერებს ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას; ხოლო რამდენადაც ზმნას არ უსუსტდება ლექსიკური მნიშვნელობა, იმდენად ეს ზმნა გამოუსადეგარია შედგენილი შემასმენლის საწარმოებლად; მაშასადამე, ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია *instrum. praedic.* ისათვის. მაგ.: ნართ სხკარდჿო რაზდჿხთესთ, „ნართები შეწუხებულნი დაბრუნდნ“. აქ ანკარდჿის ზმნისართის ფორმა და მისივე მნიშვნელობის ელფერი აქვს: იგი მიეკუთვნება ზმნას და ამიტომ მის მნიშვნელობას აძლიერებს. ცხადია, რომ აქ შედგენილი შემასმენელი არ წარმოდგება.

სრულიად სხვა გვარია *dat. praedicat.* ი ოსურში: პირველი ის, რომ *dat. predic.* ი თითქმის მუდამ არსებითი სახელით გამოიხატვის (იხ. ზემოთ გვ 129), რომლისაგანაც ზმნისართი უფრო იშვიათად იწარმოება, ვიდრე ზედსართავისაგან. მეორე ის, რომ თვით მიცემითისაგან ზმნისართი ოსურში ძალიან იშვიათია. მესამე ის, რომ ეს მიცემითი უფრო მეტადაა დაკავშირებული არსებით სახელთან (ქვემდ. ან დამატებასთან), ვიდრე ხსენებული აბლატივი (მაგ. უი ნა რონან ქუ ჯიად; სმას მენ აჯდისსანს სოთთ *vos mihi testes estis*). მაშასადამე, ყველა ეს პირობები ხელს არ უწყობს ზმნას თავისი ლექსიკური მნიშვნელობა შეინარჩუნოს და ამიტომ ის თანდათან შესაძლოა დასუსტდეს. ეს გარემოება კი უპირველესი პირობაა შედგენილი შემასმენლის შექმნისათვის, ამ შემთხვევაში *dativ. praedic.* ისათვის.

¹) W. Miller, Die Sprache der Osseten, 44.

²) იმ რამდენიმე ათეულ მაგალითიდან, რომელიც შტაკელბერგს მოყავს თავის შრომაში, სტატისტიკით გამოხატულია მხოლოდ ერთჯერ (ფაძაბსი უნ ნელაუძან „ის მეფედ გეყოლებოდათ“).

³) W. Miller, Op. cit. 85.

ამასთანავე აქვე უნდა ითქვას, რომ ოსურში, როგორც საზოგადოდ ყოველ ენაში, ამ მხრივ არ არსებობს ურყევი ყალიბი. როგორც მიცემითის შემთხვევაში შესაძლებელია ზმნამ ცოტად თუ ბევრად შეინარჩუნოს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგ.: მ₃ 'ი ; ო₃ ს₃ ა₃ ს₃ იგ₃ ზუ₃ რ₃ ს₃ თ₃ (დიგ.) „და ის ცოლად აირჩია“ (Miller-Stackelb. 6, 14), იგრეთვე აბლატივის შემთხვევაშიც შესაძლებელია საწინააღმდეგო მოვლენა, ე. ი. ზმნის მიერ თავისი ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვა ცოტად თუ ბევრად [მაგ.: მ₃ ა₃ ო₃ ს₃ ა₃ ი₃ ზ₃ ზ₃ ა₃ დ₃ „და დარჩა (იგი) უვნებლად“ (=ჯანმთელად)] (მილლერ 36, 18).

4. ზემოთ ვეცადეთ აგვეხსნა, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ორ ბრუნვათა შორის (აბლატივი და მიცემითი) ერთმა მათგანმა (მიცემითმა) აიღო თავისთავზე ის ფუნქცია, რომელიც ბალტურ-სლავურში (და ზოგიერთ სხვა ინდოევროპულ ენებშიც) ხშირად instrument. ს აქვს. აქ იბადება შემდეგი საკითხი: რატომ არის ამ ორ ბრუნვათა შორის მიცემითი და არა რომელიმე სხვა ბრუნვა? dat. praedic. ი იძენდა იშვიათი მოვლენა ინდოევროპულ ენათა მოდგმაში¹, რომ მას განსაკუთრებული დასაბუთება ესაჭიროება. მაშასადამე, საჭიროა აიხსნას dativ praedic. ის წარმოშობა.

ჩვენის აზრით გამოსავალ წერტილად მიღებულ უნდა იქნეს dativ. finalis, რომლის მნიშვნელობით, ნათესაობა dativ. praedic. თან უკვე ზემოთ აღნიშნული იყო (გვ. 128).

ცნობილია, რომ, როდესაც წინადადებაში რაიმე პირობების გამო ზმნი (შემასმენელი) ეგრე იქცევა სათანადო ყურადღებას, მაშინ მისი ლექსიკური მნიშვნელობა სუსტდება ზოგჯერ იმ ზომით, რომ იქცევა მხოლოდ ფორმალურ პრედიკატად, ხოლო ყურადღების ცენტრში თავსდება წინადადების სახელობითი ნაწილი (განსაზღვრება ან დამატება), რომელიც იქცევა (შედგენილი) შემასმენლის მეორე (სახელობით) ნაწილად და რომელიც გახდება მთელი შემასმენლის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებლად. ასეთი წარმოშობისაა პრედიკატული ატრიბუტი, nominat. praed. და accus. praedic. და, ჩვენის აზრით, ოსურის აწ აღნიშნული dativ. praedicatorius. მაშასადამე, ნათქვამის თანახმად ამ

¹ Dativ. praedic. გვხვდება, მაგალითად, ძველს ლათინურში; იხ. Latini-
sche Grammatik von Fr. Stolz und I. H. Schmalz, München 1910, გვ. 376.
(Handbuch der klassischen Altertumswissenschaft, B. II. 2. Abt.).

უკანასკნელის განვითარების პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: როცა განსაზღვრულ პირობებში ზმნას (შემასმენელს) უსუსტდება ლექსიკური მნიშვნელობა, ხოლო დამატება ან განსაზღვრება *dativ. finalis* არის, ეს უკანასკნელი იქცევა *dativ. praedic.*-ად, ანუ უკეთ: რამდენადაც ზმნას ასეთ შემთხვევაში აკლდება ლექსიკური მნიშვნელობა, იმდენად *dat. praedicativ.* თან გვაქვს საქმე და პირიქით: რამდენადაც ზმნა ინარჩუნებს ასეთ მნიშვნელობას, იმდენად *dat. fin.* ანუ დამატება ან განსაზღვრება გვევლინება. მაგ.: ...მა მე ხესთარ ქიხგი რისთა ასეცან ჯოსან (დღგ.) „და მან აუყვანა ცოლად უფროსი ქალი“ (Дигорскія сказанія 21₂₃). მანს, აი ღაჯ... ბეჯუქინხად, ნისანსან „აჰა ესერა სდგეს... სასწაულად სიტყვის საგებელად“ (სკლდგ ევანგელიე, ლუკ. II, 34). როგორც პირველს, ისე, განსაკუთრებით, მეორე მაგალითში, ზმნებს დაუკარგავს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა; ამიტომ ორთავე შემთხვევაში უდავოა *dat. praedic.* თან გვაქვს საქმე, ვინაიდან რასთა ჯოსან და ღაჯ ნისანს თვითიული მთლიან წარმოდგენას გამოხატავს. აგრეთვე ისეთ წინადადებაში, როგორცაა რუგას აგდნსანსან და დემჯუჯ, არქოდთა „მელამ მოწმედ თავისი კული მოიყვანა,“ ზმნას ასე თუ ისე შეუნარჩუნებია ლექსიკური მნიშვნელობა, მაგრამ ნამდვილი მოტანის ან მოყვანის წარმოდგენა მაინც არა გვაქვს; ამიტომ ამასაც *dat. praedic.*-ად ვთვლით. მაგრამ, თუ ჩვენ ავიღებთ ასეთ მაგალითებს: აგზარსი უდრ სდღავ ზესჯუჯ მაღან „(და) არჩეულ იქნა დედად წმინდისა ქალწულისა“ (Stackelb., Op. cit., 18); ჯადარჯას სნ რადთა ძულ ზსჯანსან — *panem e coelo dedit eis, quem ederent* „პური ზეცით მოსცა მათ კამად“ (სკლდგ ევანგელიე, იოან. VI, 31), დავინახავთ, რომ აქ ზმნებს სავსებით დაუცავს ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა: მართლაც აქ ნამდვილი არჩევისა და მიცემის წარმოდგენა არის. ამიტომ სრულიად მართებულია, რომ ამათ შტაკელბერგი *dat. finalis* ეძახის.

ამ მოსახრებათა მიხედვით ქვემოთ დართული *dat. praedic.*-ის ნიმუშები იმა თუ იმ თვალსაზრისის შესაფერად შეიძლება ორი გვარისანი იყვნენ (თუშკა მათი მტკიცე ჩარჩოში ჩასმა შეუძლებელია):

ა. როცა ზმნას თავისი ლექსიკური მნიშვნელობა იმდენად დაუკარგავს, რომ მხოლოდ შემაერთებელ ნაწილაკად ქცეულა და

ბ. როცა ზმნას ასეთი მნიშვნელობა მხოლოდ დასუსტებია და უმთავრესი ყურადღება შემასმენლის ნომინალურ ნაწილს მიქცევა.

II.

ზემოთ ხსენებული ტექსტებიდან (გვ. 127 შენ. 1) ამოკრეფილი პრედ-
კატული მიცემითის ნიმუშები დალაგებულია იმ ზმნების მიხედვით, რომ-
ლებთანაც მიცემითი ბრუნვა შედგენილ შემასმენელს წარმოადგენს

ოსური მართლწერა დასულია ეს. მილერის შრომის გერმანული
გამოცემის მიხედვით (იხ. ზემოთ), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გამოვიყენე
ქართული ანბანი მხოლოდ ერთი ასოს დამატებით. ზოგიერთ შემთხვე-
ვაში დასულია ამა თუ იმ ტექსტის მართლწერა, თუ ამას საჭიროება
მოითხოვს, რაც თავის ადგილას აღნიშნული იქნება. ოსური ტექსტის
თარგმანი მომყავს ან ქართულად, ან ლათინურად და ან რუსულად
(რუსულად, თუ ტექსტი რუსულიდანაა თარგმნილი)—იშის მიხედვით,
თუ რომელი უფრო სწორად გადმოგვცემს ტექსტის ფორმას ჩვენი მიზნი-
სათვის. ზოგჯერ თარგმანი მომყავს ორ ენაზე იმავე მიზნით.

A. Dativus praedicatoris ქვემდებარისა.

ა უნ, ფუნ „ყოფნა“

1. ფეიქარი ქია ჯაჭი, უი ნა რონან ქუ ჯიდ „რასაც ფეიქარი ქსოვს,
ის რომ ჩვენ სარტყლად მოგვეცა (=იყოს)“ [შიწნ. 41, 2].

2. ნი ქია ჯარზი, უი ნა მოჯან ქუ ჯიდ „ვინც გვიყვარს (=ვისაც
რომ უყვარს), ის რომ ქმრად მოგვეცა (=იყოს)“ [შიწნ. 41, 3].

3. ჟეტი ადამაჟე მა ჯონან ქუ ნა ჯა, ჯად მანა მა ცარად ალა ნაბად სქან-
ძანია „ეს ადამიანი თუ ჩემი ცალი არ იქნა, ჩემი სიცოცხლე სიამ-
მოვნებას აღარ მომიტანს“ (Miller-Stackelb. 10, 1).

4. სმან მენ აჯდონსანს სითუთ, აზ ქია ზანთონ ჩრჯსითი ნა დან vos
mihi testes estis, me dixisse, non sum ego Christus (სჯლდაჲ ევანგ.,
იოან. III, 28).

5. სოდომი, გომორრა ამა სს ადჟამბლაი სსხართს. ნრსანან ავარდ ქუდ
სო, sicut Sodoma et Gomorrha et his finitimae civitates simili mo-
do... propositae sunt exemplo (ეპისტ. მოციქ იულ. I, 7).

6. მას ნ'უნაჲ აგორუმბა ცაჯან, მს ანსევი არდაჯაი ტი რადაჯაჲ, ჟე
დარ და ჯუდთან¹ ჯოდანია „ჩვენ ჩვენი მტრების სამებნელად მივდი-

¹) ჯუდთანის შესახებ შტაკელბერგი (ამ გამოცემის გლოსარიუმში
გვ. 72) ფიქრობს, რომ ეს ფორმა არის დიგ. ჯუდუნ ზნის („უასის გადახდა“) ფუ-

ვართ, და ლამით რაც დაიკარგება, შენი გადასახდელი იყოს“ (Miller-Stackelb. 6.).

7. ცჳამადრადთარ იონა ნინუფაგთან ნოსანან ქუდ უდრ „ვითარცა იგი იონა ექმნა სასწაულ ნინუფიელთა“ sicut enim factus est Ionas signum Ninivitis (სვლდგ ევანგ., ლუკ., XI, 30).

8. უდონაი მუ, კააჭა ზადგა, უდრ აზ სუჯუნთან ხოსთარან ჩრ უდრ, უი სენ ზახთა „ერთმან ვინმე მათგანმან, რომელ იყო მღვდელმთავარი მის წელიწადისა, ჰრქუა მათ ...будучи на тот год первосвященником...“ (სვლდგ ევანგ., იოან. XI, 49).

9. ჩამან ჟაჟა ამან აჩე დონ ნუსსე ჟრჩაგონ ჯაჯე დეკატ იგვრუნჯა ამა ამა ნუჯუნან თარიღად, დარასან ანა სჳფდ¹ „რათა იქმნეს ამისთვის წყალი ესე განმბანელ ძუნლისა მის კაცისა მეორედ შობითა ამით და მისატეველად ცოდუთა სამოსლად უხრწნელებისა“ (იალლუზიძე C. ლე, 16).

10. ქაჩე აქხად თახუდიკ ჟადა იყელ ანა ხაჯაჲან ამა მადან მახ ხეჩაჟ² „რომელ მირადის სანატრელ იქმენ ყოვლად უბიწოდ და დედად ლეთისა ჩუნისა“ (იალლუზიძე B. ლე, 3-5).

11. ...უი აგანდარ უსან უდრ „შვდთავე მათ ესუა იგი ცოლად“ (სვლდგ ევანგ. ლუკ XX, 33).

ბ. ლაუნ „დგომა“

12. მანა, აი ჯაჯე ჟაქაღუნან ამა სესთუნან ბირასან ისრაილთე ამა ბეცჳუძინად, ხოსანან „აჳა ესერა სდგეს დაცემად და აღდგინებად მრ-

ძე ჟედ ან სუფიქსი (ამ სუფიქსის შესახებ იხ. H. Hübschmannის გამოკვლევა Ossetische Nominalbildung- ჟურნალში „Zeitschrift der deutschen morgenländischen Gesellschaft“ B 41, 821). მაშასადამე, შტაკელბერგის აზრით, ჟედთან ისეთივე წარმოებაა, როგორც მავ, ნჯუნ „სამისი“ ნჯუნ ზმნისაგან („სმა“), ქარდნ „მაკრატელი“ ქარდუნ ზმნისაგან („კრა“). ეს მოსაზრება მიუღებელია, რადგანაც გაუგებარი რჩება თ ჟედ-სა და ან-ს შუა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქა გვაქვს მრავლობითის მიცემით; მაშასადამე, თ მრავლობითის ელემენტია ამასთანავე ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ჟედ ნომინალური ფუძეა, რომლისაგანაც ნაწარმოებია ჟედ-უნ ზმნა და რომელიც სხვა სახით თითქოს არ შენახულა.

¹) ნიმუშში დაიკვლია იალლუზიძის მართლწერა. ან ი-ში განსაკუთრებით საყურადღებოა განსხვავება ჟაჟა... ნუსსეგ²სა და (ჟაჟა)... დარასან³ს შორის: პირველი არის nominat. praedic., ხოლო მეორე—dativ. praedic., რადგანაც პირველი (ნუსსეგ) გამოხატავს წყლის არსებით ნიშანს, ხოლო მეორე (დარასან) არა-არსებით ნიშანს (ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 129).

ვალთა ისრაილსა შორის და სასწაულად სიტყვის სიგებლად“ (სრლდგ ევანგ. ლუკ. II, 34).

13. ...უფრ უფლოვთა სხუდთაგ, აზ ქაი ქანენ, ავდისანან დავუნდ მან თხსთა „ესევე საქმენი სწამებენ ჩემთვის, რომელთა მე ვიქმ“ (სრლდგ ევანგ., იოან., V, 35. შეად. ფსალმ. LXXX, 9: აზ ავდისან დავუნ...)

ბ. რაზუნენ „გამოჩენა“

14. ხესთარან ბზ ქე ნერდასდთა მე ინ ახვანს ქაში ნს ადთადა, მე-დარ თა დადუზან ქე რაზინდა თა თხსნენ старшему не могло не быть приятно, что он лошади не привел, и что и он оказался таким же плохим, как он (Дигорскія сказанія 14,11).

15. ჩმან რაზუნა ად ფრთას რუხს, ამა ბუნდურანს¹ „რათა გამოჩნდეს ესე ძედ ნათლისა და მკვიდრად“ (იალლუზიძე С. ლგ, 13)

დ. ბაზუნენ (ირონ.), ბაზუნენ (დიგ.) „გამოდგომა“

16. ჰე! ა მანან დადვან ისინსთა „ეს მე კომბლად გამომადგება“ (Дигорскія сказанія 16,18).

17. ჯაჟუგ ჯომს ქუ რქასთაი, ჯად ზახთა: „ხუტაუ, დავაი რაზი, აო მანან დავუჯანან სბაზანთა“ — „როცა დეემა მას შეხედა, თქვა: „ღმერთო, შენი კმაყოფილი ვარ, ეს მე შეილაღ გამომადგება“ (Miller-Stackelb. 3,4).

18. ქარაქემან ანბადთან ცამან ნს ბსთანგა? „ურთიერთისთვის ამხანაგებად რატომ არ გამოდგებოდენ?“ (Miller-Stackelb. 8,14):

19. ჯადი ჯადანგა დინ ჯოსან ნს ბაზუნენ „მანამდე ცოლად არ გამოვადგები“ (Miller-Stackelb. 12,14).

20. უი ზახსანდარ ამა ფაჯესანდარ ნად ბაზუნენ (ონა) ნი ვ землю, ნი ვ ნავოზ ნე გოდитსა (სრლდგ ევანგ., ლუკ. XIV, 15).

B. Dativus praedicativus დამატებისა.

ა. ქანენ² „კეთება, ქმნა“

21. ისგამან მე აფსემარ ქუ ამაღა, მე უს ქუ ბაზაია, ჯად ან ზანანგ ქუ ნს კა, ჯად აო აფსემარ სქანად უსან „უკეთო ვისმე მოუკვდეს მძა

¹) მართლწერა დაცულია იალლუზიძისა.

²) ამ ზმნას შესატყვისებელია ქონდის მრავალგვარი მნიშვნელობა იმის მიხედვით თუ რა პრეცედენტით ან რა კომპოზიტში იხმარება იგი. აქ მომყავს განურჩევლად.

და ესუას ცოლი და შვილი არა დაჰშთეს, რათა შვიროთოს ძმამან მის-
მან ცოლი იგი მისი“ ...ut accipiat frater eius uxorem ipsius (სვლ-
ღვ ევანგ., მარკ. XII, 19).

22. ამხ ნელაუნქოდია ჸი ხნცაუნს¹ и поставил его владыкою
(ფსალმ. VIII, 7).

23. თაღუნგ სქოდთა მახა ვმარზან ამხ აჯანჯნ მახ აღფამილაი დადოჯ
თაღუნგ არჯ უაღ ვერადოჯ--(и) мрак сделал покровом своим (и) се-
нью вокруг себя мрак вод, облаков воздушных (ფსალმ. XVII, 12).

24. ვერად სქოდთა უდონგლ ამპარზახან ზგანმარტა ღრუბელი
საგრილად მათაჲ expandit nubem pro tegumento (ფსალმ. CIV, 39).

25. ვერადოჯ სქოდთა დახნგან ცალსან (qui) disponit nubes in
vehiculum suum (ფსალმ. CIII, 3).

26. ...ამხ მახ ხორზახანდონ სსი მკხნგან ცარანდონს სქანჯ ჸი „და
სათნო იყო იგი სამკვიდრებელად თვისა“ (ფსალმ. CXXXI, 13).

27. ამხ 'ო მახ დჯან ბიანახანჯან აკჰჯ ქანან ამხ 'ო ჰასის დახეჯან
„მიიტომ მოგართმევთ მის დიასახლისად და წაიყვანე შენთვის (Ди-
горскія сказанія 25, 7).

28 ...ამხ ზაქან აა ზჯს ...ჯჯრთან ამხ ბჯნდჯრან „და ჰყავ
ესე ცხოვარ ძედ და მკვიდრად“ (იილლუზიძე С. 7, 11).

ბ დადოჯ „მიცემა“

29. ნჯ მჯუნ ჩჯზგ ქჯ რაიგურა, ნახ ინნახანთა დაბოჯუ, ჯად სჯ ჸი სჯ
მოჯან ჩი ნახ რადთა „ერთს ჩვენგანს რომ ქალი დედადოს, მეორეს კი
უბი, ისინი ცოლქმრად რად არ გაეხადოთ (=ეინ არ მისცეს)-
(შიტან 99, 13 აგრეთვე 100, 12).

30. გოღაჯჯ ჩი ამარა, ჸუმან ფაძახს აე ჩიზჯჯ ჸი სჯან რადჯახი „ვინც
გოლიათს მოკლავს, მის მეფე თავის ქალს ცოლად მისცემს“ (Beiträge
zur Syntax des Ossetischen von R. Stackelberg, 82, 15).

31. ... ცამადარდითარ სჯ რადთა ნისახან იბო он такой им
дал знак (სვლღვ ევანგ., ლუკ. XXII, 47).

32. ამხ სჯ სჯ ზახ რადთა ბჯნდჯრან et dedit terram eorum
possessionem (ფსალმ. CXXXIV, 12 აგრეთვე CXXXV, 21, 22).

¹) ოსური ფსალმუნის მართლწერა დაკული არა მაქვს.

ბ. ზაღენ ქუაბფან „პასუხის მიცემა“

33. ...*დავად* ინ იესო ზახთა ქუაბფან но Иисус сказал ему в ответ (სულდაგ ევანგ., მათე III, 15).

საერთოდ ზაღენ ზმნას ასეთი კონსტრუქცია ქუაბფთან ძალიან ხშირია სახარებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზაღენ ნამყოშია, მაგ.: მათ. XI, 4; XXV, 26. მარკ. IX, 12; X, 13. ლუკ V, 22; IX, 19. იოან. VI, 26; VI, 29 და პრაველი სხვა.

პარალელურად იხმარება—და საკმაოდ ხშირადაც—იმავე ზმნის კონსტრუქცია ქუაბფის აკუზაციითან (მაგ. ლუკა I, 34: IV, 4, 8, 13 და სხვა), განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნა ნამყოში არაა, მაგ.: მათ. XXV. 37; XXV, 44 და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ზაღენ ზმნასთან პრედიკატული მიცემითი ძალიან ხშირია დიგორულ დიალექტში, რამდენადაც ეს ჩანს საკმაოდ ვრცელს დიგორკია сказаніиში, მაგ.: 52₁; 53₁₄; 54₂ და პრაველი სხვა.

დ. ხასურ ნეონდან „მიტანა მსხვერპლად“

34. ..*ამ ცაში არხასლი ჩეკონდან დეჟა ვსინაჯ, et ut darent oblationem . par turturum* (სულდაგ ევანგ., ლუკ. II, 24).

35. უი მან ქადჯენდარ, ჩი ნეკონდან არხასსუ, შამშე სოჯ *qui sacrificat laudem, honore afficit me* (ფსალმ. XLIX, 23).

36. სუ *ἀφάρτοις* ამ ჩაჯჯეთას ხასთი აჟ სიარავთან ნეკონდან *nam sacrificaverunt fillos suos, fillasque suas daemonibus ... приносили... в жертву...* (ფსალმ. CV, 37).

37. ქა აჟ ხასთი ნეკონდან ქასანე გუმართან *которых приносили в жертву идолам ханаанским* (ფსალმ. CV, 38).

ე. ვეარენ „ღაღება“, ნეკონდან „ღაღებნა, ნებისღართვა“.
სესხატენ „ჩაღება, ჩაღებნა“.

38. ცამადარადთარ დე სეგარტენ უღონ ნისანს *nam ponis eos tumulum, ...поставишь их целью* (ფსალმ. XX, 13).

39. უი ა ნეკასია ედისანს იოსებ თახსი *qui testimonium in Josepho imposuit ipsum...* установил во свидетельство (ფსალმ. LXXX. 6).

40. ...მა მა დაქეცან ქოსეგოსან ნეჟას „და გამზადე შენ მსახურ-ქალად (Miller-Stackelb. 10₁₆).



თსუ

ბიბლიოთეკა



03001646741

41. ... ამს მინ ჳა უაბოფაღთა ბა კახანი ნელაბად ღისანან ნისაქეთს
„და დამიდგით ტანსაცმელი კლდის პირად სამიზნოდ“ (Дигорскія сказанія 8,19).

42. ... სს უაბოფაღთა ბა ინღონი ბილაბად ღისანან ნისსახთონგა „თა-
ვისი ტანსაცმელი დაუდეს წყლის პირად სამიზნოდ“ (Дигорскія сказанія 8,24).

3. ავზარ, „არჩევა“ ხნცხნ, „თელა“, ის, „აღება,
აყენა“, აგორუნ „ძებნა“.

43. უა ჟა სავზარსთა აკობან დიან ამს ისრაილან მუკატავა მუკატავა
ნუჭსავარდან quod praestitit Jahakobo in statutum, Jsaëll in foedus perpetuum (ფსალმ. CIV, 10).

44. ასავთან ქასთარა ხარდამს ხვზდარ ცუდა მა 'ი ჳოსან სოე-
ზურსთა „ასეგოს მოეწონა უპცროსი და ცოლად ის აირჩია (Miller-Stackelb. 6,14).

45. აფთადარ სრმას ბახნნუთ ჳახნ მარდან თარიაღუ თუხა ამს ავა-
სან ხეჩაე იესო ჩერესღია „ვეგრეცა თქუტნ შერაცხენით თაენი თქუტნნი
მკედრად ცოდვისათვის და ცხოველად ღეთისა ქრისტე იესოს მიერ
(იალლუზიძე С. ში, 15—17).

46. მანს ატი ერთა ქიზგეში ბარა რასეთა ჳახეგან ბიძანგეთან
„იი, ამ სამი ქალისაგან ამირჩიეთ (=აიყენეთ) თქვენ დიასახლი-
სებად“ (Дигорскія сказанія, 21,23).

47. ... ამს აე ხესთარ ქიზგი რასთა სხიგან ჳოსან „და მან აიყ-
ენა ცოლად უფროსი ქალი (Дигорскія сказанія 21,23).

48. ... თა ბასთა აი დახეგან და ჳურთი ბასთა ღეჳუნან რასე „მის
მაგივრად წაიყენე (შენთვის) შვილად შენი ვაჟის ნაცლად“ (Дигор-
скія сказанія 34,7).

49. ... და ღავ რამარდა მა დინ ჳომი ნეგიაღა აეს, ჳად და ხან ჳოსან
აგორუა მაკრავო ნსხადგა „შენი ქმარი შოკედა და მისგან არაფერილა გაქს,
მაგრამ ხანი ცოლად გეძებს და ჩუუნთან წამოლი (Miller-Stackelb. 12,8).